„სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 03.10.2022, N288/01-01 ბრძანების საფუძველზე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის 103/2022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

(შემაჯამებელი) #3 ოქმი

ქ. თბილისი, 14:00-15:00 საათი, 15 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ოთხი წევრი: თსუ ასოც. პროფესორი ია აფთარაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); თსუ პროფესორი მზია წერეთელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); თსუ ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე (კომისიის მდივანი); თსუ პროფესორი გუგული მაღრაძე (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 03.10.2022, N288/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან მისი შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის ია აფთარაშვილის მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ. ია აფთარაშვილმა შეახსენა კომისიას რომ განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ვაკანტურ პოზიციაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი განაცხადი კონკურსანტის ნატო ასათიანის მიერ. კომისიის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი და განხილული ნატო ასათიანის პორტფოლიო, მისი გამოცდილება და პოტენციალი. კომისიამ დაადგინა კანდიდატის ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის მოთხოვნებთან და მიიღო გადაწყვეტილება ნატო ასათიანისთვის პრეტენდენტის სტატუსი მინიჭების შესახებ, რის შედეგადაც კანდიდატი დაშვებული იქნა გასაუბრების ეტაპზე.

მეორე საკონკურსო ეტაპზე ნატო ასათიანმა გასაუბრების კრიტერიუმების შესაბამისად ისაუბრა:

- თავის სამეცნიერო ინტერესებსა და მათი რეალიზების გზებზე;
- სილაბუსებსა და სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლების ეფექტიანი მეთოდების შესახებ.
- ინსტიტუტის გაძლიერებისა და მის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის თაობაზე.

კერძოდ, ნატო ასათიანმა ხაზი გაუსვა მის სადოქტორო ნაშრომს, რომელიც ეხებოდა ბულინგის მექანიზმის შესწავლას და აღნიშნა, რომ ეს თემა და ზოგადად, სასწავლო გარემოში პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების საკითხები, იქნება მისი შესწავლის სფერო. ასევე წარმოადგინა სხვადასხვა საგნების სილაბუსები და ისაუბრა სწავლების ინოვაციური მეთოდების, როგორიცაა პრობლემაზე და ფენომენზე დაფუძნებული სწავლება, შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ მას აქვს კარგი შესაძლებლობა პოპულარიზაცია გაუწიოს სამეცნიერო თემებს საზოგადოებაში სხვადასხვა საკომუნკაციო არხების გათვალისწინებით. მან დეტალურად ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე საერთაშორისო გრანტებისა და პროექტების მოზიდვისა და განხორციელების შესახებ; იდეებზე, გააძლიეროს ინსტიტუტის კომუნიკაცია როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ სამეცნიერო სივრცეში.

იმსჯელეს

კომისიამ იმსჯელა ნატო ასათიანის განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებულ პროფესორად არჩევის პოტენციალის შესახებ. გამოკვეთა პრეტენდენტის ძლიერი მხარეები: მისი საუნივერსიტეტო სივრცეში პროფესორად მუშაობის გამოცდილება (მათ შორის სრული პროფესორის პოზიციაზე), მის მიერ წაკითხული და შემოთავაზებული კურსების აქცენტი განათლების ფსიქოლოგიის ინტიტუტის განვითარების თვალსაზრისით, სამეცნიერო მუშაობის სფერო და მიმართულებები, მისი პიროვნული გამოცდილება და უნარები, იქნება ეს სამეცნიერო მუშაობის თუ სასწავლო და საზოგადოებრივი კომუნიკაციის თვალსაზრისით.

შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე. კომისიის თამჯდომარემ კომისიის წევრებს შეახსენა კენჭისყრის ჩატარების პროცედურა. კომისიის წევრებმა ხელმოწერით დაადასტურეს ბიულეტინის სისწორე, რომელშიც ასახული იყო საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტის სახელი და გვარი. სხდომაზე ასევე შემოწმდა საარჩევნო ყუთი და კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი დაილუქა კომისიის წევრთა მიერ. კომისიის ყველა წევრმა ჩააგდო ბიულეტინი ყუთში.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ

განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჩატარებულ კონკურსში ნატო ასათიანის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა 4 წვერი, წინაღმდეგი - 0.

ერთხმად დაადგინეს:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე

თსუ ასოც. პროფესორი ია აფთარაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თსუ პროფესორი მზია წერეთელი

კომისიის მდივანი

თსუ ასოც. პროფესორი თამარ აბაშიძე

კომისიის წევრი

თსუ პროფესორი გუგული მაღრაძე (კომისიის წევრი).